საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030144242787217

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/9074 **15 / თებერვალი / 2017 წ.**

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

სასწრაფო

გაცნობებთ, რომ ასოცირების შეთანხმების XXX-ე დანართი მოიცავს იმ ევროდირექტივების ჩამონათვალს, რომლებიც შეეხება შრომისა და დასაქმების სფეროში განსახორციელებელ საკანონმდებლო ცვლილებებს. მათ შორისაა 2004 წლის 13 დეკემბრის ევროსაბჭოს 2004/113 დირექტივა, რომელიც შეეხება საქონლისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობასა და მომარაგების საკითხებთან დაკავშირებით მამაკაცისა და ქალის თანაბარი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას. შინაარსის გაცნობის შემდეგ დადგინდა, რომ ეს დირექტივა არ ვრცელდება დასაქმებასა და შრომით ურთიერთობებზე (შესავალი, პუნქტები 11 და 15). კერძოდ, მე-15 პუნქტში მითითებულია, რომ დირექტივა ვრცელდება დაზღვევასა და პენსიებზე, რომლებიც კერძო ხასიათისაა, ნებაყოფლობითია და განცალკევებულია შრომითი ურთიერთობისგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განგვიმარტოთ შემდგომი პროცედურები ან შეატყობინოთ იმ უწყებას, რომლის კომპეტენციის სფეროსაც განეკუთვნება დირექტივით განსაზღვრული საკითხები.

დამატებით გაცნობებთ, რომ დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ასევე მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (წერილი № 01/8775, 14.02.2017წ.).

იხ. დანართი: 7 გვ.

პატივისცემით,

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი

ელზა ჯგერენაია